



ახალციხის მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკისა და სოციალური
პროგრამების დაგეგმვის მიზნით

ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის

ანგარიში

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

2022 წელი

შესავალი

2022 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას - „ათეას“ (NALAG) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი ინიციატივის შედეგად, ბავშვები და ბავშვიანი ოჯახები ისარგებლებენ ბავშვზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამებით, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან პარტნიორობით ახორციელებს.

პროექტი „მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვზე და ბავშვიან ოჯახზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავებაში“ დაეხმარება მუნიციპალიტეტებს ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავებაში.

მემორანდუმი განსაზღვრავს თანამშრომლობის ჩარჩოს და ხელს უწყობს მხარეებს შორის თანამშრომლობას ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების სრული ციკლის (მ.შ.: საჭიროებათა კვლევა, პროგრამების შემუშავება, პროგრამების ეფექტიანობის შეფასება) დანერგვის/განხორციელების პროცესში.

პროექტის პირველ ეტაპს წარმოადგენს სოციალური საჭიროებების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევის ჩატარება.

მემორანდუმით აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია „ათეას“ მიერ, ახალციხის მუნიციპალიტეტს გადმოეცა ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა „ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი“. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისაგან. სამუშაო ჯგუფს დაევალა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება. საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად დამტკიცდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის - „ათეას“-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ინსტრუმენტები. სამუშაო ჯგუფს, საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 16 სექტემბერი;

მუნიციპალიტეტის აღწერა

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. მუნიციპალიტეტი დაყოფილია 16 ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც მოიცავს 2 ქალაქის ტიპის დასახლებას და 45 სოფელს. ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი არის ქალაქი ახალციხე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 38 895 ადამიანს შეადგენს. მათგან 17 903 ქალაქ ახალციხეში ცხოვრობს, ხოლო 20 992 მუნიციპალიტეტის დანარჩენ დასახლებებში. მოსახლეობის 57% ქართველი, 42% სომეხი და 1% სხვა ეროვნების წარმომადგენელია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან 18 791 მამაკაცია, ხოლო 20 104 ქალი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად შეიმუშავებს და ახორციელებს მათ საჭიროებებზე ორიენტირებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს. აღნიშნული პროგრამებიდან, უშუალოდ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

- **სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა.** პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/დროებითი რეგისტრაციის მქონე, 0-დან 12 წლის ასაკის ჩათვლით, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები (აუტიზმის სპექტრის, დაუნის სინდრომის, განვითარების ეტაპების შეფერხებისა და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე).
- **0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების/ჰიგიენური მოვლის საშუალებების დაფინანსება.** პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 1 წლამდე ბავშვები, რომელთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოქმედი სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 65 000-ის ჩათვლით და საჭიროებენ ხელოვნური კვების პროდუქტებით/ჰიგიენური მოვლის საშუალებებით უზრუნველყოფას.
- **მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება.** პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები (0-დან 18 წლამდე 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი).
- **შშმ ბავშვთა სოციალური დახმარება.** პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები.
- **ობოლ ბავშვთა სოციალური დახმარება.** პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები, ასევე დედით ან მამით ობოლი ბავშვები, რომელთა მშობელი არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი ან ბავშვს აქვს შშმ პირის სტატუსი, ასევე დედით ან მამით ობოლი ბავშვები, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის გარდაცვლილი ომის ვეტერანი და ბავშვს აქვს მარჩენალდაკარგულის სტატუსი.

კვლევის აღწერა

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში. საჭიროებაზე მორგებული დაგეგმვის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის გარეშე, შეუძლებელი იქნება მუნიციპალიტეტებში ეფექტიანი და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის გატარება. შესასრულებელი ამოცანების სწორად განსაზღვრისთვის აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდეს სრულ, სანდო და გარკვეული პერიოდულობით განახლებად ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებათა შესახებ. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა საჭიროებათა კვლევა. საჭიროებათა კვლევა არის მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნაწილი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა და იგი წარმოადგენს მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. საჭიროებათა კვლევა უზრუნველყოფს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა გამოვლენას.

საკვლევი სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებისათვის, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში შესაბამისი მიმართულებით მომუშავე სუბიექტების წარმომადგენლები.

ფოკუს-ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საჭიროებათა კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:**
 - 1.1 შშმ სტატუსის მქონე;
 - 1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
 - 1.3 განვითარების სირთულის მქონე ბავშვი;
- 2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მ.შ.:**
 - 2.1 ობოლი ბავშვი;
 - 2.2 მარჩენალდაკარგული ბავშვი;
 - 2.3 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;
- 3. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი;**

4. ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

5. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:

5.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;

5.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;

5.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

თავისი შინაარსით, საჭიროება არის მოწყვლადი სამიზნე ჯგუფის მდგომარეობასა და ცხოვრების ღისრულ პირობებს შორის არსებული სხვაობა და საჭიროებათა კვლევის მიზანიც სწორედ აღნიშნული სხვაობის კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებაში მდგომარეობს. საჭიროების კვლევისას ფოკუსირება მოხდა სამი ძირითადი სახეობის საჭიროებაზე:

- **გაცნობიერებული საჭიროება** (percieved/felt need) - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, თემი, სერვისის მიმწოდებელი.
- **გამოთქმული/გამოხატული საჭიროება** (expressed need) - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, სერვისის მიმწოდებელი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია.
- **ნორმატიული საჭიროება** (normative need) - ინფორმაციის წყარო: სოციალური მომსახურების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

კვლევის მეთოდოლოგია

საჭიროებათა კვლევა ჩატარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. კვლევამ მოიცვა მუნიციპალიტეტის 47 დასახლება. სამუშაო პროცესში, გარდა სამუშაო ჯგუფის წევრებისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 19-ვე წარმომადგენელმა და მათმა ასისტენტებმა. სამუშაო ჯგუფის მიერ, მერის წარმომადგენლების მეშვეობით, მოხდა სამიზნე ჯგუფის წევრთა შესახებ მონაცემთა შეგროვება დასახლებების დონეზე, შეგროვებულ მონაცემთა აგრეგირება სტატისტიკურ ინფორმაციად ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე; ანკეტური გამოკითხვა რესპონდენტებთან და შევსებული ანკეტების დამუშავება და ანალიზი; აღნიშნული სამუშაო პროცესი წარიმართა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ბავშვისადმი კეთილგანწყობილ, კომფორტულ და მშვიდ გარემოში. კითხვარები შეივსო ბავშვისთვის ოჯახურ ან მასთან მიახლოებულ გარემოში, მშობლის/მეურვის თანდასწრებით. საჭიროებათა კვლევის პროცესში დაცული იყო კვლევის ეთიკური პრინციპები, მ.შ.: კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, კვლევის მონაწილეებისთვის მათი უფლებების გაცნობა, გენდერული ბალანსი და ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა. ბავშვებთან კომუნიკაციის პროცესი იყო დაფუძნებული ბავშვის პატივისცემასა და აზრის თავისუფალ გამოხატვაზე.

გამოკითხვის პროცესში დაცული იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, გათვალისწინებული იყო კვლევის ჩატარების ეთიკური პრინციპები და კვლევაში ბავშვების მონაწილეობის თავისებურებები.

საჭიროებათა კვლევისას, მიზნობრივი ჯგუფების მოცვის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 16,30. ანკეტური გამოკითხვისას რესპონდენტების რაოდენობამ შეადგინა 126. ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის - „ათეა“-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ინსტრუმენტები.

ტერმინთა განმარტება

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- **განვითარების დარღვევის მქონე ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაგრამ აქვს გამოხატული ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** - პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- **სოციალურად დაუცველი პირი** - ფიზიკური პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები;
- **ღარიბი ოჯახი** – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინსამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია;
- **ობოლი ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ორივე ან ერთადერთი მშობელი;

- **მარჩენალდაკარგული ბავშვი** - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე, რომელსაც ენიშნება სოციალური პაკეტი მარჩენალის გარდაცვალების გამო;
- **რეინტეგრირებული ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელიც ბავშვთა სახლიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან ან მინდობითი აღზრდიდან ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვე/მზრუნველთან;
- **მრავალშვილიანი ოჯახი** - ოჯახი 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვით.

კვლევის ძირითადი მიგნებები და პრიორიტეტები

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:

- 1.1 შშმ სტატუსის მქონე;
- 1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
- 1.3 განვითარების სირთულის მქონე ბავშვი;

აღნიშნულ კატეგორიაში სულ გამოკითხულია 21 ბავშვიანი ოჯახი, მათ შორის 12 ბავშვი არის შშმ სტატუსის მქონე, 4 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, 2 მათგანის მშობელი ქვრივია, ხოლო 1 განქორწინებული, ხუთი მათგანის მშობელი შშმ პირია. 5 ოჯახი - სოციალურად დაუცველი, 3 ოჯახიდან შრომისუნარიანი წევრი წასულია ოჯახიდან სამუშაოდ; ერთ შემთხვევაში ბავშვზე ზრუნავს მეორე მშობელი, ხოლო ორ შემთხვევაში - ახლო ნათესავი. 7 ოჯახი გათბობის საშუალებად იყენებს ბუნებრივ აირს, ხოლო დანარჩენი - შეშას, 3 მათგანისთვის ინტერნეტი არაა ხელმისაწვდომი; მობილური ტელეფონი აქვს ყველას.

5 ოჯახის შემოსავალი 230-500 ლარამდეა, ხოლო 7 მათგანის 500-1000 ლარამდე, 4 მათგანის კი 1000 ლარზე მეტია. 10 ოჯახი ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს საიდანაც წლიურად მიღებული შემოსავალი ან 1000 ლარზე ნაკლებია, ან მაქსიმუმ 2000 ლარამდეა, თუმცა ოჯახის მოთხოვნილებებს მხოლოდ 3 მათგანი აკმაყოფილებს.

21 ოჯახიდან ბავშვის სრულფასოვნად კვებას (მ.შ. რძის პროდუქტები, ხორცპროდუქტები, ხილბოსტნეული, ბურღულეული და ა.შ.) 9 ოჯახი ახერხებს; 2 ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვისთვის ჰიგიენური საშუალებების შეძენას, 5 ოჯახი ვერ უზრუნველყოფს ბავშვს სასკოლო ნივთებით, 3-სეზონური ტანსაცმლით, 3 მათგანისთვის ინკლუზიური სწავლება არ არის ხელმისაწვდომი. 12 მშობელი, ბავშვის მთავარ საჭიროებად ასახელებს ფულად დახმარებას, რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართვას და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას, 6 - საკვებით და სეზონური ტანსაცმლით დახმარებას. ბავშვები კი მათი ოჯახის მთავარ საჭიროებად თვლიან ფინანსურ უზრუნველყოფას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

ყველა მათგანს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა ურჩევნია პირადი კომუნიკაციით, შეხვედრებით, წარმომადგენელთან გასაუბრებით ან სატელეფონო კონტაქტით. 13 ოჯახი აღნიშნავს, რომ მიმართა მუნიციპალიტეტს - ჯანდაცვის ან სოციალურ განყოფილებას

დახმარებისთვის, დადებითი შედეგით. ერთ მათგანს არ სურს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება, საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა დაუკავშირდნენ, 3 მათგანი აღნიშნავს, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მ.შ.:

- 2.1** **ობოლი ბავშვი;**
- 2.2** **მარჩენალდაკარგული ბავშვი;**
- 2.3** **მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;**

სულ გამოკითხულია 13 ბავშვიანი ოჯახი, მათ შორის: ობოლი ან მარჩენალდაკარგული - 7; 3 მათგანის მშობელი განქორწინებულია; ერთ მათგანს აქვს შშმ ბავშვის სტატუსი, 4 ბავშვიანი ოჯახის წევრები ერთად არ ცხოვრობენ, რისი მიზეზიც არის შრომითი მიგრაცია, სამედიცინო საჭიროება; ერთი ბავშვის დედამ დატოვა ოჯახი; 3 მათგანზე ზრუნავს ბებია/ბაბუა; ერთ-ერთზე კი მშობელი. 9 მათგანის ოჯახის შემოსავალი არის 230-500 ლარამდე ან 230-ზე ნაკლები თვეში. მხოლოდ 2 ოჯახს არ აქვს ინტერნეტი, მხოლოდ 2-ს აქვს ბუნებრივი აირი, ყველას აქვს სველი წერტილი, მათ შორის 7 - საცხოვრებელ ფართში, 2 მათგანი იღებს გზავნილებს. ნაწილი ეწევა სოფლის მეურნეობას, თუმცა ოჯახის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. შემოსავლის ძირითადი ნაწილი იხარჯება ბავშვის კვებაზე, საიდანაც 10 მათგანი ბავშვის სრულფასოვანად კვებას (მ.შ. რძის პროდუქტები, ხორცპროდუქტები, ხილბოსტნეული, ბურღულეული და ა.შ.) ვერ ახერხებს; 3 მათგანი იშვიათად ახერხებს ჰიგიენური საშუალებების შეძენას; სასკოლო ნივთებით და სეზონური ტანსაცმლით არ არის ან ნაწილობრივია უზრუნველყოფილი. 6 მათგანი აღნიშნავს, რომ დაუკავშირდნენ მუნიციპალიტეტიდან აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით. 10 მათგანი ბავშვისა და ოჯახის სრულფასოვანი უზრუნველყოფისთვის ასახელებს ფინანსურ დახმარებას თვეში 200-1000 ლარამდე. 5-ს ესაჭიროება სამშენებლო მასალები და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. 4 მათგანს აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი, 5-ს - არ აქვს მაგრამ ცხოვრობს სიღარიბეში. 10 მათგანს მოსწონს მუნიციპალიტეტთან ან წარმომადგენელთან უშუალო კომუნიკაცია.

3. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი

2 ოჯახი გამოიკითხა, საიდანაც 1 მათგანი არის ქვრივი, ხოლო მე-2 განქორწინებული (ქ. ვალე და სოფელი დიდი პამაჯი), 1 მათგანი არის შშმ ბავშვი, 1 შემთხვევაში ოჯახის ყველა წევრი არ ცხოვრობს ერთად, რადგან იმყოფება მიგრაციაში სოციალური პრობლემების გამო. ორივე მათგანი იყენებს საწვავად ბუნებრივ აირს და ცხოვრობს 80-120 კვადრატულ ფართში, აქვთ მობილური ტელეფონები და მათი შემოსავალი შეადგენს 230-500 ლარამდე, ერთი მათგანი იღებს გზავნილებს. ერთი მათგანი კი სოფლის მეურნეობიდან 1000-2000 ლარამდე წლიურ შემოსავალს იღებს, საიდანაც ნახევარს ხარჯავს ბავშვზე, ხოლო მეორე მათგანი - მთლიან შემოსავალს, თუმცა ბავშვის სრულფასოვან კვებას, ჰიგიენური საშუალებების და სასკოლო ნივთების სრულად შეძენას ვერ ახერხებს, რის გამოც საჭიროებს ფინანსურ დახმარებას. 2-ვე მათგანი გოგონაა და ორივე მათგანი დადის ბაღში ან სკოლაში.

4. ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

სულ გამოკითხულია 8 ბავშვიანი ოჯახი, მათ შორის:

6 მათგანის მშობელი არის შშმ პირი, 5 მათგანის ოჯახი- სოციალურად დაუცველი, 7 მათგანი ცხოვრობს 40-120 კვადრატულ ფართში, ერთი მათგანის საცხოვრებელი ფართი 16 კვ. მ-ია. 8 ოჯახიდან მხოლოდ ერთი იყენებს ბუნებრივ აირს, მხოლოდ 2 მათგანს არ აქვს ინტერნეტი, 4 ოჯახის შემოსავალი 230-500 ლარამდეა, ხოლო 4 მათგანის 500-1000 ლარამდე, მხოლოდ 1 ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, საიდანაც წლიურად მიღებული შემოსავალი ან 1000 ლარზე ნაკლებია, ან მაქსიმუმ 2000 ლარამდეა. ყველა მათგანი, ასაკის შესაბამისად, დადის ბაღში ან სკოლაში, ხოლო სოფელ ნაოხრებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახი სკოლაში ან ბაღში ბავშვის წაუსვლელიობის მიზეზად მანძილის სიდიდეს ასახელებს, 7 ოჯახისთვის ბავშვის წინაშე არსებული საჭიროება არის სრულყოფილი კვება, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, შემეცნებითი მასალები. ბავშვები კი მთავარ საჭიროებად ასახელებენ სათამაშოს არ ქონას, ბავშვის საწოლს, სახლის არ ქონას და ფინანსურ მდგომარეობას. 3 მათგანის ერთ-ერთი მშობელი შშმ პირია, ხოლო 1 ბავშვის 2-ვე მშობელი შშმ პირია (მათ აქვთ, სმენის, ან გადაადგილების ან ფსიქიური პრობლემა) და მთავარ საჭიროებად ასახელებენ ბავშვის ასისტირებაში (ზრუნვაში) დახმარებას, 1 - უწყვეტი მედიკამენტოზური მკურნალობის უზრუნველყოფას, ხოლო 1- სამედიცინო მერქნით უზრუნველყოფას, დანარჩენები კი დახმარებას ფულადი ფორმით ან საკვებით. მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა ურჩევნიათ პირადი კომუნიკაციით, შეხვედრებით, ასევე აღნიშნავენ, რომ კომუნიკაციის პროცესში ისინი ყველა საკითხში გაერკვნენ. ერთ მათგანს არ სურს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება. საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა დაუკავშირდნენ. 3 მათგანი ასახელებს, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

5. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:

- 5.1** სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;
- 5.2** სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;
- 5.3** ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

გამოკითხულია 82 ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, საიდანაც 38 არის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე, 2 ბავშვიანი ოჯახს აქვს მაღალი სოციალური ქულა და არ არის შემწეობის მიმღები, ხოლო 42 ღარიბ ბავშვიანი ოჯახს არ აქვს სოციალური ქულა დათვლილი. (მიზეზი შესაძლოა იყოს სოციალური ქულის გადათვლის პერიოდი, ან ცნობიერების დაბალი დონე, ან უარი დეკლარაციის შევსებაზე მოცემულ მომენტში), სოციალური ქულის არ მქონე ოჯახებიდან 9 მათგანი ვერ ახერხებს ჰიგიენური მოვლის საშუალებების შეძენას; 21 მათგანი (50%) ვერ ახერხებს ან ნაწილობრივ ახერხებს სკოლისთვის საჭირო ნივთების შეძენას, სრულფასოვნად კვებას (მ.შ. რძის პროდუქტები, ხორცპროდუქტები, ხილბოსტნეული, ბურღულეული და ა.შ) ვერ ახერხებს 31%, სულ გამოკითხულთა (82 ოჯახი) 61% ზამთრის გათბობისთვის იყენებს შეშას, მათ შორის 56% სოფლად მცხოვრებია.

82 გამოკითხულიდან ყველა ბავშვი ასაკის შესაბამისად დადის საბავშვო ბაღში ან სკოლაში.

ბავშვები ყველაზე მეტად განიცდიან:

1. 16 მათგანი (20%) განიცდის არასათანადო საცხოვრებელ პირობებს, კერძოდ აბაზანის და სველი წერტილის არ ქონას;
2. 5 მათგანი განიცდის ტელეფონის და კომპიუტერის არ ქონას;
3. 8 მათგანს არ აქვს სათანადო ტანისამოსი;
4. 5 ბავშვის მშობელს აქვს მხედველობის, მენსიერების ან გადაადგილების პრობლემა, თუმცა არ აქვს შშმ პირის სტატუსი.

82 გამოკითხული მშობლიდან;

1. 5 ითხოვს დასაქმებაში ხელშეწყობას;
2. 5 -სთვის მნიშვნელოვანია ფინანსური დახმარება;
3. 32 ვერ ასახელებს ოჯახის საჭიროებებს;
4. 1 საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას.

აღნიშნული კატეგორიის ბავშვიანი ოჯახებიდან 5 ბავშვის მშობელი არის განქორწინებული.

ზემოხსენებული მონაცემების დამუშავების შემდეგ, საჭიროებათა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით გაიმართა შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან, რომელშიც მონაწილეობდნენ დაინტერესებულ მხარეები და სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები. შეხვედრისას ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები გაეცნენ კვლევის მიგნებებს და გამოკვეთეს პრიორიტეტული მიმართულებები:

- კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
- შშმ ბავშვის სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;
- სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროცედურები;
- ტრანსპორტირების ხელშეწყობა;
- სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლის ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა;
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ფინანსური დახმარება;
- შშმ სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;

სამიზნე ჯგუფების მიხედვით, პრიორიტეტული მიმართულები გადანაწილდა შემდეგი სახით:

სამიზნე ჯგუფი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. შშმ ბავშვის სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;
3. სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროცედურები;
4. ტრანსპორტირების ხელშეწყობა;

სამიზნე ჯგუფი: მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;

2. სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლის ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა;
3. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. ფინანსური დახმარება;

სამიზნე ჯგუფი: ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. შშმ სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;
3. სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროცედურები;
4. ფინანსური დახმარება;

სამიზნე ჯგუფი: ღარიბი ბავშვიანი ოჯახი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლის ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა;
3. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
4. ფინანსური დახმარება;

საჭიროებათა კვლევის საჯარო განხილვის მიმოხილვა და შედეგები

საჭიროებათა კვლევის შედეგების საჯარო განხილვა განხორციელდა ორ ეტაპად:

- პირველ ეტაპზე მოხდა ანგარიშის პროექტის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ სამიზნე ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურ სფეროში მოღვაწე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. მათ დეტალურად მოისმინეს საჭიროებათა კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობისა და მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაცია. დაინტერესებული მხარეების მიერ საჭიროებათა კვლევის ანგარიშის პროექტი დადებითად იქნა შეფასებული.
- საჯარო განხილვის მეორე ეტაპზე ანგარიშის პროექტი, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის შედეგები წარედგინა მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებს. ისინი გაეცნენ კვლევის მიგნებებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს და იმსჯელეს თითოეული მათგანის ირგვლივ. მათ ხაზი გაუსვეს ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობასა და როლს სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში და საჭიროებათა კვლევის ანგარიში დადებითად შეაფასეს.

დანართები

- კითხვარის ნიმუშები;
- შედეგების შემაჯამებელი ცხრილი;
- კვლევაში რესპონდენტების სახით მონაწილე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია

www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36&scroll=0

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

<https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/28.06.2019-4.pdf>

3. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

4. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=60&scroll=0

5. ბავშვის უფლებათა კოდექსი

www.matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2&scroll=0

6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1>

7. კანონი სოციალური დახმარების შესახებ

www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=15&scroll=0

8. კანონი სოციალური მუშაობის შესახებ

www.matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=6&scroll=400

9. კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>

10. კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=11&fbclid=IwAR234Ei1Au1nmJSF04gC6RyhLFyY7FNvon5EEVWVfKMeFCCKgd_5xduu1n0

11. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21>

12. ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალური სტანდარტი

<https://www.moh.gov.ge/ka/661/bavSvTa-adreuli-intervenciis-momsaxurebis-minimaluri-standarti>

13. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“

http://ssa.gov.ge/files/01_GEO/Bavshvta-zrunva/07.02.2019.pdf

14. საქართველოს მთავრობის დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5343874?publication=0>

ანკეტა #

ინტერვიუს ჩატარების თარიღი:

ინტერვიუს დაწყების დრო:

ინტერვიუს დასრულების დრო:

მოკლე ინსტრუქცია ინტერვიუერისთვის

მოცემული კითხვარის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზების, საჭიროებებისა და მოლოდინების გამოვლენა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მოსახლეობის საჭიროებებზე უკეთ მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება.

გთხოვთ, წარმართოთ პროცესი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ბავშვისადმი კეთილგანწყობილ, კომფორტულ და მშვიდ გარემოში.

რეკომენდებულია, კითხვარი შეივსოს ბავშვისთვის ოჯახურ ან მასთან მიახლოებულ გარემოში, მშობლის/მეურვის თანდასწრებით.

გამოკითხვის საფეხურები:

- პირველ რიგში, გთხოვთ, გააცნოთ რესპონდენტს კითხვარის ჩატარების მიზანი, მისი შედეგი/დადებითი გავლენა, როგორც ცალკეულ ინდივიდზე ასევე მთელ მუნიციპალიტეტზე.
- რესპონდენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ გამოკითხვა წარიმართება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მონაცემები დამუშავდება მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ, ბავშვისთვის საჭირო მომსახურების დაგეგმვის მიზნით.
- რესპონდენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ აღნიშნული პროცესი წარიმართება კონფიდენციალურობის სრული დაცვით, გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაცია მიეწოდებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ჩართულია ბავშვისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავებაში, ან იმ პირებს რომლებსაც ესაჭიროებათ ამ ინფორმაციის გათვალისწინება ამ ბავშვებთან მუშაობის დროს,

გამოკითხვის მიზნებისთვის, რესპონდენტია ბავშვი და მისი დედა/მამა, კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც უშალოდ ზრუნავს ბავშვზე და ყველაზე კარგად იცის ბავშვის საჭიროებები.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, ბავშვის საჭიროებების უკეთ დასადგენად შემუშავებულია კითხვები, როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლისთვის ასევე, თავად ბავშვისთვის.

ბავშვისთვის განკუთვნილი კითხვები ხაზგასმულია და აწერია : „კითხვას პასუხობს ბავშვი.“

კითხვარი დაყოფილია ექვს ნაწილად:

1. პირველ და მეორე ნაწილს ავსებს ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელი;
2. მესამე ნაწილი ივსება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არ აქვს მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი;
3. მეოთხე ნაწილს ავსებს ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელი;
4. მე-5 ნაწილი დაყოფილია სამიზნე ჯგუფებად, თითოეული რესპონდენტი ავსებს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელ სამიზნე ჯგუფსაც წარმოადგენს;
5. მეექვსე ნაწილი მოიცავს ღია კითხვებს და ივსება ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლის მიერ.

ვადასტურებ, რომ გავცანი ინსტრუქციას, და ვმოქმედებ მის შესაბამისად

ინტერვიუერის ხელმოწერა _____

თანახმა ვარ მე/ჩემმა შვილმა/ჩემი მეურვეობის ქვეშ მყოფმა მივიღო/მიიღოს მონაწილეობა გამოკითხვაში და ჩემი/მისი მოწოდებული ინფორმაცია გამოყენებული იყოს მუნიციპალიტეტის მიერ საჭიროების კვლევის მიზნებისთვის.

მშობლის/ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა _____

ბავშვის სახელი/გვარი	
ბავშვის ასაკი	
ბავშვის სქესი	
ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის სახელი/გვარი	
ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის სქესი	
ინტერვიუერის სახელი/გვარი	
ინტერვიუერის სამუშაო ადგილი	
ინტერვიუერის პოზიცია	

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

გვადლევს ზოგად, ფაქტობრივ ინფორმაციას ოჯახის/რესპონდენტის შესახებ. საწყის ეტაპზე გამოკვეთს თუ რომელ სამიზნე ჯგუფს/ჯგუფებს მიეკუთვნება რესპონდენტი, ივსება ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლის მიერ.

1.1. ოჯახური მდგომარეობა მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დაოჯახებული
- დაუოჯახებელი
- განქორწინებული
- ქვრივი

1.2. აქვს თუ არა ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს მინიჭებული ქვემოთ მითითებული რომელიმე სტატუსი? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- სოციალურად დაუცველი
- სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
- მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირი
- იძულებით გადაადგილებული პირი (დევენილი)
- არა
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

1.2.1. თუკი ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მიუთითეთ შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი (ჯგუფი):მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი)
- მნიშვნელოვნად გამოხატული (II ჯგუფი)
- ზომიერად გამოხატული (III ჯგუფი)

1.2.2. მიუთითეთ ბავშვის სტატუსი მდგომარეობა: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი
- არცერთი ზემოჩამოთვლილი

1.2.2.1. სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში, მიუთითეთ მინიჭებულ ქულათა ოდენობა:

1.3. ტერიტორიული ერთეული

1.4. დასახლება

1.5. მანძილი თქვენი სახლიდან სკოლამდე (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამდე)? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 1 კმ ან ნაკლები
- 1 - 3 კმ
- 3-5 კმ
- 5 კმ ან მეტი

1.5.1. მანძილი თქვენი სახლიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამდე? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 1 კმ ან ნაკლები
- 1-3 კმ
- 3-5 კმ
- 5 კმ ან მეტი

1.5.2. მანძილი თქვენი სახლიდან პირველადი ჯანდაცვის ობიექტამდე? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 1 კმ ან ნაკლები
- 1-3 კმ
- 3-5 კმ
- 5კმ ან მეტი

1.5.3. მანძილი თქვენი სახლიდან პროფესიული განათლების დაწესებულებამდე: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 1 კმ ან ნაკლები
- 1-3 კმ
- 3-5 კმ
- 5კმ ან მეტი

ნაწილი 2. ოჯახური და საცხოვრებელი პირობების შეფასება

აღნიშნული ნაწილი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ რესპონდენტის ოჯახური და საცხოვრებელი პირობები და მისი საჭიროებები, სპეციალურად შემუშავებულ დახურულ კითხვებზე დაყრდნობით, ივსება ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლის მიერ.

2.1. რამდენი ადამიანისგან შედგება თქვენი ოჯახი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 2
- 3
- 4
- 5
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

2.1.1. მათ შორის რამდენი და რა ასაკის ბავშვია თქვენს ოჯახში? თითოეული უჯრის გასწვრივ მიუთითეთ შესაბამისი რიცხვი

<input type="radio"/> 0-2 წლამდე	
<input type="radio"/> 2-6 წლამდე	
<input type="radio"/> 6-18 წლამდე	

2.1.2. რამდენი შშმ პირია ოჯახში? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- არცერთი
- ერთი
- ორი
- სამი
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ)

2.1.3. ასაკით პენსიონერთა რაოდენობა ოჯახში: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- არცერთი
- ერთი
- ორი
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

2.1.4. შშმ ბავშვის/პირის სტატუსით სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ოჯახში: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- არცერთი
- ერთი
- ორი
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ)

2.2. ოჯახის ყველა წევრი ცხოვრობს თუ არა ერთად? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

2.2.1. თუ წინა კითხვის პასუხი უარყოფითია, მაშინ ოჯახის რამდენი წევრია ოჯახიდან დროებით წასული/განცალკევებული? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- ერთი
- ორი
- სამი
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

2.2.2. ოჯახიდან დროებით წასული/განცალკევებული წევრის/წევრთა ასაკი? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- 18 წლამდე
- 18-60 წელი
- 60 წელს ზემოთ

2.2.3. მიუთითეთ ოჯახიდან წასვლის/განცალკევების მიზეზი: შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- სოციალური პრობლემები
- სამედიცინო საჭიროება
- განათლების მიღება
- შრომითი მიგრაცია
- ბავშვზე ზრუნვის საჭიროება, რომელიც ვერ უზრუნველყო ოჯახმა
- ზრდასრულ წევრზე ზრუნვის საჭიროება, რომელიც ვერ უზრუნველყო ოჯახმა
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

2.2.4. თუ ოჯახიდან წასული/განცალკევებული არის მშობელი/მშობლები, ვინ ზრუნავს ბავშვზე ყოველდღიურად? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- მეორე მშობელი
- ბებია/ბაბუა
- ახლო ნათესავი
- შორეული ნათესავი
- მეზობელი
- ზრდასრული და ან ძმა

2.2.5. თუ მზრუნველი არ არის მშობელი, აქვს თუ არა მზრუნველს ოფიციალური მეურვის სტატუსი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

2.3. გთხოვთ, მიუთითეთ საცხოვრებლად გამოყენებული ფართის სავარაუდო ოდენობა: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 16 კვ.მ-ზე ნაკლები
- 16-40 კვ.მ
- 40-80 კვ.მ
- 80-120 კვ.მ
- 120 კვ.მ-ზე მეტი

2.4. რას იყენებთ გათბობის საშუალებად? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- ბუნებრივი აირი
- შეშა
- ელ. ენერჯია

- ვერ ვიყენებთ ვერცერთ ზემოჩამოთვლილს
- 2.5. არის თუ არა სასმელი წყალი მიყვანილი საცხოვრებელ ფართში/საკარმიდამო ნაკვეთში? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა
- 2.6. სად არის მოწყობილი სველი წერტილი (აბაზანა/საპირფარეშო)? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- საცხოვრებელ ფართში
 - ეზოში
 - არ არის
- 2.2.7. რამდენია ელექტოენერჯის საშუალო თვიური ხარჯი ოჯახისთვის? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- 100 კვტ-ზე მეტი
 - 100 კვტ ან ნაკლები
- 2.2.7.1. იღებთ თუ არა ფულად დახმარებას (სუბსიდიას) კომუნალურ ხარჯებზე? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა
- 2.2.8. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენს ოჯახში ინტერნეტი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა
- 2.2.8.1. გაქვთ თუ არა ოჯახში მობილური ტელეფონი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა

ნაწილი 3. ოჯახის შემოსავლები

**ივსება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არ აქვს მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი. იძლევა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საშუალებას; გვამლევს ინფორმაციას, ბავშვის საჭიროებებზე, რომლის ოჯახიც არ არის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე, მაგრამ მათი შემოსავლით ვერ კმაყოფილდება ბავშვის ელემენტარული საჭიროებები.*

- 3.1 რამდენია ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- 230 ლარზე ნაკლები
 - 230-500 ლარამდე
 - 500-1000 ლარი
 - 1000 ლარი ან მეტი
- 3.1.1. იღებთ თუ არა ფულად გზავნილებს ოჯახის ემიგრანტი წევრისგან/ებისგან? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა
- 3.2. ფლობს თუ არა თქვენი ოჯახი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა
- 3.2.1. თუ წინა კითხვის პასუხი დადებითია, რამდენია თქვენს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართობი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- 1.2 ჰა ან ნაკლები
 - 1.2-5 ჰა
 - 5 ჰა-ზე მეტი
- 3.2.2. ეწევით თუ არა მეურნეობას (მიწის დამუშავება, ფრინველისა და პირუტყვის ყოლა, მრავალწლიანი ნარგავები)? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი
- დიახ
 - არა
- 3.2.3. თუკი ეწევით მეურნეობას, მაშინ თქვენი შეფასებით, დაახლოებით რა ღირებულების პროდუქტს იღებთ წელიწადში? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 1000 ლარზე ნაკლები
- 1000-2000 ლარი
- 2000-5000 ლარი
- 5000-7500 ლარი
- 7500 ლარი ან მეტი

3.2.4. ძირითადად როგორ ხარჯავთ თქვენს საოჯახო მეურნეობაში შექმნილ პროდუქტს? თქვენი შეფასებით რამდენად აკმაყოფილებს თქვენს საოჯახო მეურნეობაში შექმნილი პროდუქტი თქვენი ოჯახის საჭიროებებს? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- სრულად აკმაყოფილებს ოჯახის საჭიროებებს და დარჩენილ პროდუქტს ვყიდით
- სრულად აკმაყოფილებს ოჯახის საჭიროებებს
- ნაწილობრივ აკმაყოფილებს ოჯახის საჭიროებებს
- ვერ აკმაყოფილებს ოჯახის საჭიროებებს

3.3. ოჯახის შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ბავშვების კვებაზე? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- მთელ შემოსავალს
- დიდ ნაწილს
- ნახევარს
- ნახევარზე ნაკლებს

3.3.1. ახერხებთ თუ არა ბავშვის სრულფასოვნად კვებას? (მ.შ. რძის პროდუქტები, ხორცპროდუქტები, ხილბოსტნეული, ბურღულეული და ა.შ.) მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- ნაწილობრივ
- არა

3.3.2. ახერხებთ თუ არა უზრუნველყოთ ბავშვი საუზმით სკოლაში წასვლის წინ? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

3.3.3. ახერხებთ თუ არა ბავშვი სკოლაში კვებას? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ, სკოლის კაფეტერიაში
- დიახ, საკვები თან მიაქვს
- არა, ვერ ახერხებთ შეძენას
- არ საჭიროებს სკოლაში კვებას

3.4. რამდენად ახერხებთ ბავშვისთვის შესაბამისი ჰიგიენური საშუალებების შეძენას? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- ყოველთვის ვახერხებ
- ხშირად ვახერხებ
- იშვიათად ვახერხებ
- ვერ ვახერხებ

3.4.1. თუ ოჯახში არის მოზარდი გოგონა, რამდენად ახერხებთ მისთვის შესაბამისი ჰიგიენური საშუალებების შეძენას? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- ყოველთვის ვახერხებ
- ხშირად ვახერხებ
- იშვიათად ვახერხებ
- ვერ ვახერხებ

ნაწილი 4. განათლება და წიგნიერება

აღნიშნული ნაწილი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თუ რამდენად რეალიზებულია ბავშვის განათლების უფლება, ივსება ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლის მიერ.

4.1. დადის თუ არა ბავშვი საბავშვო ბაღში/სკოლაში? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

4.1.1. თუ ბავშვი არ დადის ბაღში/სკოლაში, გთხოვთ, მიუთითეთ მიზეზი. შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- ბავშვის ჯანმრთელობა

- შშმ პირის ტრანსპორტირების სირთულე
- ოჯახის სოციალური მდგომარეობა
- დიდი დაშორება სახლიდან ბაღამდე/სკოლამდე
- ბავშვი არ არის შესაბამისი ასაკის
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

4.1.2.თუ ბავშვი დადის სკოლაში, რამდენად უზრუნველყოფილია სკოლისთვის საჭირო ნივთებით? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- სრულად
- მეტწილად
- ნაწილობრივ
- არ არის უზრუნველყოფილი

4.1.3. .თუ ბავშვი დადის სკოლაში, რამდენად უზრუნველყოფილია სეზონური ტანსაცმლით? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- სრულად
- მეტწილად
- ნაწილობრივ
- არ არის უზრუნველყოფილი

4.1.4.თუ ბავშვი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა, ხელმისაწვდომია თუ არა ინკლუზიური სწავლება მის სკოლაში? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ, სრულად
- ნაწილობრივ
- არ არის ხელმისაწვდომი
- არ ვიცი

ნაწილი 5.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და განვითარების სირთულის მქონე ბავშვი

აღნიშნულ ნაწილს ავსებს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და განვითარების სირთულის მქონე ბავშვი, მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. შერჩეული დახურული კითხვები საშუალებას გვაძლევს ზუსტად გამოვავლინოთ ბავშვის კონკრეტული საჭიროებები.

5.1.არის თუ არა ბავშვი, რომელიმე სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამის ბენეფიციარი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

5.1.1.თუ წინა კითხვის პასუხი დადებითია, რა სერვისს იღებთ სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- მედიკამენტების სრულად დაფინანსება ან თანადაფინანსება
- სამედიცინო მომსახურების სრულად დაფინანსება ან თანადაფინანსება
- დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა
- ფულადი დახმარება
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

5.1.2.თუ ბავშვი სარგებლობს დამხმარე საშუალებით, მონიშნეთ შესაბამისი გრაფა: შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- ეტლი
- საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებები
- სმენის აპარატი
- კოხლეარული იმპლანტი
- ტექნიკური საშუალება (სმარტფონი)
- ყავარჯნები, ხელჯოხ-ყავარჯნები
- უსინათლოთა ხელჯოხები
- გადასაადგილებელი ჩარჩოები
- სათვალეები
- სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)

5.1.3. რომელი მომსახურებით სარგებლობა ესაჭიროება ბავშვს? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- ადრეული განვითარება/ადრეული ჩარევა
- დღის ცენტრი
- ბინაზე მოვლა/შინმოვლა
- ქცევითი თერაპია
- პერსონალური ასისტენტის სერვისი
- რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა
- ფულადი დახმარება
- დამხმარე საშუალებები
- მედიკამენტები/სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება
- სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)

5.1.4. ფულადი დახმარების შემთხვევაში რისთვის გამოიყენებთ მიღებულ დახმარებას? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- საკვების შესაძენად
- ტანსაცმლის შესაძენად
- დამხმარე საშუალებების შესაძენად
- მკურნალობისთვის აქ დაკონკრეტებაც საინტერესო იქნება
- ბავშვის მომსახურებაში ჩასართავად, დააკონკრეტეთ საჭიროება:
- სასკოლო ნივთების შესაძენად
- სხვა:

ნაწილი 5.2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი

აღნიშნულ ნაწილს ავსებს მხოლოდ მზრუნველობამოკლებული ბავშვი, მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. შერჩეული დახურული კითხვები საშუალებას გვაძლევს ზუსტად გამოვავლინოთ ბავშვის კონკრეტული საჭიროებები.

5.2.1. არის თუ არა მზრუნველობამოკლებული ბავშვი რომელიმე სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

5.2.2. თუ წინა კითხვის პასუხი დადებითია, მაშინ რომელი პროგრამით/ქვეპროგრამით სარგებლობთ?

5.2.2.1. მონიშნეთ თქვენი კონკრეტული საჭიროებანი: შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

